1. **სასწავლო კურსის დასახელება:** თანამედროვე ლინგვისტური თეორიები და მეთოდები / Theoretocal Fundamentals and Methods of Linguistics

სასწავლო კურსის მიზნები: ენათმეცნიერების თეორიული საფუძვლების, თანამედროვე სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების ძირითადი ცნებებისა და მეთოდების სწავლება; ძირითადი მიმართულებებისა და ენათმეცნიერების გამოყენებითი ასპექტების გაცნობა-გაცნობიერება;
ენა სამყაროს, "სინამდვილის" სტრუქტურირების ერთ-ერთი საშუალებაა. სინამდვილე მთლიანია. მისი დანაწევრება კონკრეტული კოლექტიური ცნობიერების მიერ სპეციფიკურად ხორციელდება. სამყაროს კონცეპტუალიზაციის პროცესში სინამდვილის სტრუქტურირებისას მთლიანობიდან გამოცალკევდება განუსაზღვრელი რაოდენობის ობიექტები, ფიქსირდება მათი თანმხლები თვისობრიობები, პრედიკატული ელემენტების მეშვეობით მყარდება გარკვეული მიმართები და ამგვარად იგება სინამდვილის "ობიექტური" ლინგვისტური სურათი. ამდენად, ენა ჩვენი "ყოფიერების სახლია" (ჰაიდეგერი), ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ სამყაროში, როგორი ენაც გვაქვს (ჰუმბოლდტი). სინამდვილე, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ენაზე – როგორიც არის ადამიანის გარემომცველი "სინამდვილე", ისეთივეა ენაც. ეს ორმხრივი დეტერმინირებულობა ენასა და სინამდვილეს შორის გაშუალებული ცნობიერებით ფაქტობრივად განსაზღვრავს ადამიანური ყოფიერების ყველა სფეროს: ტრადიციები, კულტურა, საზოგადოების სოციალური ორგანიზებულობის ფორმები, რელიგია, ეთნოფსიქოლოგია და სხვა. ენის ამგვარი გაგებიდან გამომდინარე, სრულიად აშკარაა იმ მეცნიერების როლი, რომელიც სწავლობს ენას: ბუნებრივ ენობრივ კონსტრუქციათა ლინგვისტური ანალიზი წარმოდგენას გვიქმნის ადამიანისა და სამყაროს ზოგად უნივერსალურ და სპეციფიკურ ნიშან-თვისებებზე. კურსის მიზანიც სწორედ ენის ანალიზის თეორიული საფუძვლებისა და მეთოდების გაცნობაა.

2. **სასწავლო კურსის დასახელება:** კომპიუტერული ლინგვისტიკა / Principles of Computational Linguistics

სასწავლო კურსის მიზნები: კომპიუტერული და მათემატიკური ლინგვისტიკის თეორიული საფუძვლების გაცნობა; ინფორმატიკისა და მოდელირების ზოგადი პრინციპების ათვისება და კომპიუტერიზაციის კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტი ალგორითმების შემუშავების ძირითადი პრინციპები. კომპიუტერული ლინგვისტიკა ეფუძნება მათემატიკური ლინგვისტიკის თეორიულ საფუძვლებს და გულისხმობს: ბუნებრივი ენის მოდელირებას, ენობრივი მონაცემების კომპიუტერულ დამუშავებას, სხვადასხვა სახის ენობრივი კომპიუტერული ბაზების შექმნას და სხვ. ენათმეცნიერების, ინფორმატიკისა და მათემატიკური ლოგიკის კვეთაზე წარმოქმნილი ეს დისციპლინა ერთ-ერთი წინაპირობაა კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებისა და ხელოვნური ინტელექტის შექმნის საქმეში. კურსის მიზანია, კომპიუტერული ლინგვისტიკის პრობლემატიკის თეორიული გააზრება; ბუნებრივი ენის პროცესების ალგორითმული დამუშავებისა და მოდელირების არსებითი პრინციპების გააზრება; კომპიუტერული ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტისათვის აუცილებელი თეორიული საფუძვლების გაცნობა და სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავება.

3. **სასწავლო კურსის დასახელება:** ფსიქოლინგვისტიკა / Principles of Psycholonguistics

სასწავლო კურსის მიზანი: ფსიქოლინგვისტიკა წარმოიშვა ენათმეცნიერებისა და ფსიქოლოგიის ამოცანათა გადაკვეთაზე. მისი მეთოდოლოგია არსებითად

ექსპერიმენტული ხასიათისაა. კურსის ამოცანაა სტუდენტებს გააცნოს ფსიქოლინგვისტიკის ამოსავალი დებულებები და ცნებები, ექსპერიმენტის დაგეგმვისა და ჩატარების პროცედურები და მოამზადოს დაინტერესებული სტუდენტები ამ მიმართულებით ცოდნის გასაღრმავებლად.

4. **სასწავლო კურსის დასახელება:** კოგნიტიური ლიგვისტიკა / Principles of Cognitive Linguistics

სასწავლო კურსის მიზნები: კოგნიტიური ენათმეცნიერების ძირითადი ცნებების, დებულებებისა და მეთოდების სწავლება; კატეგორიზაციის პრინციპების და თეორიების გაცნობიერება. ყოველი ენა თავისებურად ასახავს სინამდვილეს, ამდენად სინამდვილის ლინგვისტური სტრუქტურირების, კატეგორიზაციისა და კონცეპტუალიზაციის ზოგადი კანონების დადგენა ერთ-ერთი გასაღებია სინამდვილის შესასწავლად. კოგნიტიური (შემეცნებითი) ლინგვისტიკა სწორედ ამ პროცესებს შეისწავლის და უშუალოდ უკავშირდება კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებასა და ხელოვნური ინტელექტის შექმნის პრობლემატიკას. კოგნიტიური ენათმეცნიერების თეორიული საფუძვლების გაცნობა დაეხმარება იმ პირებს, ვისაც სურს აღნიშნულ სფეროში საქმიანობის გაგრძელება. კურსი პრაქტიკულ სამსახურს გაუწევს, ასევე, ფსიქოლოგებს და ენის ფილოსოფიით დაინტერესებულ პირებს.

5. **სასწავლო კურსის დასახელება:** ენათა ტიპოლოგია და უნივერსალიები / Typological Linguistics and Linguistic Universals

სასწავლო კურსის მიზნები: ენათა ტიპოლოგიური შედარების საფუძველზე დგინდება ზოგადი, უნივერსალური ენობრივი კანონზომიერები და ხორციელდება ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია. ენათა ტიპოლოგიისა და უნივერსალიების კურსში სტუდენტები ეცნობიან უნივერსალურ კანონზომიერებათა ტიპებს (უპირობო და იმპლიკაციური უნივერსალიები, აბსოლუტური და სტატისტიკური კანონზომიერებები) და ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის პრინციპებს. სტუდენტები სწავლობენ ენათა მრავალფეროვნების მიღმა უნივერსალური და ტიპოლოგიური კანონზომიერებების გამოვლენას და მათი საკველევი ენის ადგილის განსაზღვრას სხვადასხვა სახის კლასიფიკაციებში. ენათა ტიპოლოგიური შედარების საფუძველზე დგინდება ზოგადი, უნივერსალური ენობრივი კანონზომიერებები და ხორციელდება ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია. ტიპოლოგიური ენათმეცნიერებისა და უნივერსალიების გაცნობისას სტუდენტები სწავლობენ უნივერსალურ კანონზომიერებათა სახეებს, ასხვავებენ უპირობო და იმპლიკაციურ უნივერსალიებს, აბსოლუტურ და სტატისტიკურ კანონზომიერებებს და სხვ. ენათა სხვადახვაგვარი კლასიფიკაციების დასწავლის შედეგად ისინი ეცნობიან კლასიფიკაციის ზოგად პრინციპებს; ასევე, სწავლობენ მოვლენათა მრავალფეროვნების მიღმა უნივერსალური და ტიპოლოგიური კანონზომიერებების გამოვლენას და საკვლევი ობიექტის ადგილის განაზღვრას სხვადასხვა სახის კლასიფიკაციებში.

6. **სასწავლო კურსის დასახელება:** ექსპერიმენტული ფონეტიკა და მეტყველების ამოცნობა / Experimental Phonetics and Linguistic Criminology

სასწავლო კურსის მიზნები: სწავლების მიზანია მაგისტრანტი გაეცნოს ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის თითქმის ყველა მეთოდს და აკუსტიკური სიგნალის ციფრული

დამუშავებისა და ანალიზის კომპიუტერულ პროგრამებს, რის საფუძვლეზეც გადაიჭრება მეტყველების ამოცნობის კრიმინალისტიკური ამოცანა. ექსპერიმენტული ფონეტიკის სწავლება მიზანშეწონილია ფონეტიკისა და ფონოლოგიის მომავალი სპეციალისტებისათვის, განსაკუთრებით სასარგებლოა გამოყენებითი ლინგვისტიკით დაინტერესებულ პირთათვის და აუცილებელია მათთვის, ვინც აპირებს, კონკრეტულად ექსპერიმენტულ ფონეტიკაში მუშაობას. ენის სამეტყველო ბგერათა სისტემის ექსპერიმენტულ-ფონეტიკური ანალიზის შედეგად – აკუსტიკური სიგნალების ციფრული დამუშავებისა და კომპიუტერული ანალიზის საფუძველზე – გადაიჭრება მეტყველების ამოცნობის კრიმინალისტიკური ამოცანა. ფონეტიკა-ფონოლოგია ვითარდება სწორედ ექსპერიმენტული ფონეტიკის მონაცემების ბაზაზე და, ამდენად, მისი ცოდნა მიზანშეწონილია ფონეტიკისა და ფონოლოგიის მომავალი სპეციალისტებისათვის; განსაკუთრებით სასარგებლოა გამოყენებითი (ვთქვათ, კომპიუტერული) ლინგვისტიკით დაინტერესებულ პირთათვის და აუცილებელია მათთვის, ვინც აპირებს სწავლის გაგრძელებას ამ მიმართულებით.

7. **სასწავლო კურსის დასახელება:** სემანტიკის თეორია / Principles of Semantic Theory

სასწავლო კურსის მიზნები: სასწავლო კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს ენის სემანტიკური დონის ზოგადი სტრუქტურა და სემანტიკური ანალიზის პრონციპები; ამავე დროს, წარმოდგენა შეუქმნას უნივერსალური სემანტიკური მეტაენის შესახებ, რომლის ელემენტები ე.წ. სემანტიკური პრიმიტივებია და რომელთა მეშვეობითაც აღიწერება როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული მნიშვნელობანი ნებისმიერი ენისათვის და სწორედ სემანტიკის მოშველიებით თვალსაჩინო გახადოს ენისა და კულტურის ურთიერთმიმართება. ენის სემანტიკური სტრუქტურა ადამიანური ყოფიერების უმნიშვნელოვანეს ობიექტებსა და მოვლენებს ასახავს. სემანტიკური ანალიზის საფუძველზე შემუშავებული უნივერსალური სემანტიკური მეტაენის მეშვეობით აღიწერება როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული მნიშვნელობები და სწორედ სემანტიკის მოშველიებით თვალსაჩინო ხდება ენისა და კულტურის ურთიერმიმართებები.

8. **სასწავლო კურსის დასახელება:** ტექსტის ლინგვისტიკა / Text Linguistics and Linguistic Criminology

სასწავლო კურსის მიზნები: ტექსტის ლინგვისტიკის თეორიული საფუძვლების გაცნობა; ტექსტის მთლიანობის მიღწევისა და ტექსტში ლოგიკური გადაბმების ზოგადი კანონზომიერებების დასწავლა; ადეკვატური ტექსტის აგების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება. ტექსტის ლინგვისტიკაზე დამყარებული ლინგვოკრიმინალისტური მეთოდის პრინციპების დასწავლა. ტექსტი მაღალი დონის ორგანიზებული ენობრივი ერთეულია. ადეკვატური ტექსტის აგებისა და ტექსტის მთლიანობის მისაღწევად აუცილებელია ტექსტში ლოგიკური გადაბმების ზოგადი კანონზომიერებების დასწავლა; ტექსტის შემადგენელ მონაკვეთებს შორის არსებული ფორმალურ-სემანტიკური მიმართებების გამოვლენა და ანალიზი; ზეპირი და წერილობითი ტექსტის სტრუქტურული თავისებურებების გამიჯვნა; ინფორმაციის სტრუქტურირების სხვადასხვაგვარი მოდელების გამოვლენა; ინფორმაციულად გამოკვეთილი წევრებისა თუ ფრაგმენტების მარკირებულობის სხვადასხვაგვარი შესაძლებლობების აღნუსხვა და ამ მოდელების შესაბამისად ადეკვატური გამოყენება; ტექსტის პრაგმატიკული თავისებურებები; და სხვ. სწორედ ამ საკითხებს ეხება კურსი, რომლის მიზანია, ტექსტის ლინგვისტიკის თეორიული საფუძვლების გაცნობა

და მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება, განსაკუთრებით, თარგმნისა და ტექსტის ლინგვისტური ექსპერტიზის საქმეში. ლინგვოკრიმინალიტიკა ტექსტის ლინგვისტიკის თეორიაზე დაფუძნებით ავლენს მიზანმიმართულად ტექტის "დაბინდვის", არაადეკვატურობისა და კანონებში ენობრივი ორაზროვნების ხარისხს. კურსი დიდ სამახურს გაუწევს არა მხოლოდ ფილოლოგებსა და კომპიუტერული ლინგვისტიკის პრობლემატიკით დაინტერესებულ სტუდენტებს, არამედ იურისტებსა და ფსიქოლინგვისტებს.

9. **სასწავლო კურსის დასახელება:** კულტურის ლინგვისტური პალეონტოლოგია / Linguistic Paleontology of Culture

სასწავლო კურსის მიზნები: ლინგვისტური მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზე, კერძოდ, წინარე ენის მატარებელთა პირველსაცხოვრისზე, ბუნებრივ გარემოზე (ფლორა, ფაუნა, კლიმატი...), მათ მატერიალურ და სულიერ კულტურაზე ამ სიტყვის ფართო გაგებით; ანუ, შესაძლებელია აღვადგინოთ მონათესავე დიალექტთა მატარებლების უძველესი კულტურის ზოგადი სურათი და ისტორიული განვითარების გზები. ამგვარ მიდგომას კულტურის ლინგვისტურ პალეონტოლოგიას უწოდებენ. სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს ამ მიმართულებით კვლევის თანამედროვე ვითარება და მიღწევები. ლინგვისტური მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ექტრალინგვისტურ ფაქტორებზე, კერძოდ, წინარეენის მატარებელთა საცხოვრისზე, ბუნებრივ გარემოზე (ფლორა, ფაუნა, კლიმატი...), მათ მატერიალურ და სულიერ კულტურაზე ამ სიტყვის ფართო გაგებით; ანუ შეაძლებელია აღვადგინოთ მონათესავე ენათა მატარებლების უძველესი კულტურის ზოგადი სურათი და ისტორიული განვითარების გზები. ამგვარ მიდგომას კულტურის ლინგვიტურ პალეოტოლოგიას უწოდებენ და კურსის მიზანიც სწორედ ამ დარგის თეორიული საფუძვლების გაცნობაა.

10. **სასწავლო კურსის დასახელება:** სოციოლინგვისტიკა

სასწავლო კურსის მიზნები: სოციოლინგვისტიკის კურსის მიზანია ჰუმანიტარული ფაკულტეტის ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების განყოფილების მაგისტრანტებს მისცეს ცოდნა ცალკეული ადამიანის, ადამიანთა მცირე და დიდი ჯგუფების ენობრივი ქცევის ანალიზის, დაგეგმვისა და პოლიტიკის გატარების შესახებ.

სოციოლინგვისტიკის პრობლემატიკა მოიცავს შემდეგ საკითხებს: ენის სოციალური დიალექტების რაობა; მეტყველების ინდივიდუალური ნიშნები და მეტყველების ეთნოგრაფია; ანთროპოლოგიური ლიგვისტიკა და ეთნოლინგვისტიკა, როგორც სოციოლინგვისტიკის ქვედარგები; სტანდარტიზებული ენობრივი სისტემა და სახელმწიფო ენა; ენობრივი ნორმა და ნორმატიული გრამატიკა; მშობლიური ენის ფაქტორი; ენა, პიროვნება და ენობრივი პოლიტიკა; ენობრივი სიტუაცია და ლინგვისტური გეოგრაფია; მულტილინგვიზმი, ბილინგვიზმი და დიგლოსია; კოინე და პიჯინ ენები; ენა და კულტურა; სოციოლინგვისტიკის მიმართება სხვა დარგებთან: ფსიქოლინგვისტიკა, კულტურული ანთროპოლოგია, ენის ფილოსოფია, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია და ტესტირების მეთოდი, ენის სტატისტიკური ანალიზი და სხვ.

11. **სასწავლო კურსის დასახელება:** ფსიქოლინგვისტიკა

სასწავლო კურსის მიზნები: ფსიქოლინგვისტიკა წარმოიშვა ენათმეცნიერებისა და ფსიქოლოგიის ამოცანათა გადაკვეთაზე. მისი მეთოდოლოგია არსებითად ექსპერიმენტული ხასიათისაა. საკვლევი თემები მრავალფეროვანია: სახელდების განმსაზღვრელი ფსიქიკური პროცესები; ტრანსფორმაციული წესები და მოვლენათა აღქმის კანონზომიერებები; მარკირების მიმართება და აღქმის თავისებურებანი; ნიშნის პირობითობის საკითხი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობით; სინამდვილის სტრუქტურირება და ფსიქიკური პროცესები; წარმოდგენების ცნებებად გარდაქმნის ფსიქიკური საფუძვლები და სხვ. კურსის ამოცანაა სტუდენტებს გააცნოს ფსიქოლინგვისტიკის ამოსავალი დებულებები და ცნებები, ექსპერიმენტის დაგეგმვისა და ჩატარების პროცედურები და მოამზადოს დაინტერესებული სტუდენტები ამ მიმართულებით ცოდნის გასაღრმავებლად.

12. **სასწავლო კურსის დასახელება:** ზოგადი ფონეტიკა – ფონოლოგია / General Phonetics - Phonology

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს ენობრივ მოვლენათა მეცნიერული სისტემატიზაციის პრინციპები, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს სიღრმისეულად გაიაზრონ ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონის ერთეულთა სინტაგმატურ მიმართებები, რომლებიც აყალიბებენ ენას მთლიანობაში – როგორც დიაქრონულ, ისე სინქრონულ ჭრილში.

13. **სასწავლო კურსის დასახელება:** ფონოტაქტიკა და დიაქრონული ცვლილებები / Phonotactics and diachronic changes

სასწავლო კურსის მიზნები: ზოგადი ფონეტიკა განაზოგადებს შედეგებს, რაც კონკრეტული ენების კვლევის სფეროშია მიღწეული. ამ თვალსაზრისით ფონეტიკის თეორიული მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ფონეტიკის მნიშვნელოვანი დარგი ფონოლოგია – ანუ ფუნქციონალური ფონეტიკა. გამოდის რა „ფონემისა“ და „მორფემის“, აბსტრაქტულ ერთეულთა ახლებური გაგებიდან არსებული კურსის მიზანია მოახდინოს ენობრივ მოვლენათა მეცნიერული სისტემატიზაცია, მათი ალბათობის ხარისხის გათვალისწინებით, რაც თვალსაჩინოს ხდის ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონის ერთეულთა სინტაგმატურ მიმართებებს, რომლებიც აყალიბებენ ენას მთლიანობაში – როგორც დიაქრონულ ისე სინქრონულ ჭრილში.
აღნიშნული კურსის მიზანია აჩვენოს, რომ „ფონემა“ სამეტყველო ბგერაა, ის რეალურად არსებობს და ენათმეცნიერების შესწავლის საგანს წარმოადგენს და რომ ენაში როგორც სისტემათა სისტემაში თანამოქმედების ბგერის აკუსტიკური სუბსტანცია და ფუნქცია. სუბსტანციისა და ფუნქციის ორგანული შერწყმის საფუძველზეა შესაძლებელი ენის სხვადასხვა იერარქიულ დონეთა თანამოქმედება, ამაში მდგომარეობს „ფონემის“ როგორც აბსტრაქტული ერთეულის ახლებური გაგება და არა ფონეტიკისა და ფონოლოგიის დაპირისპირება.

14. **სასწავლო კურსის დასახელება:** ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა / Comparative Phonetics of Kartvelian Languages

სასწავლო კურსის მიზნები: ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის კურსი მიზნად ისახავს ქართველურ ენათა ფონეტიკის ფუძემდებელი პრობლემების განხილვას: ფონემათა პარადიგმატული სისტემების ტრანსფორმაციას დროსა და სივრცეში: ვოკალური სისტემის გართულებას სვანურსა და ლაზურში. დეფარინგალიზაციის პროცესს ქართულსა და კოლხურში (ზანურში), სადაც ხშულთა სისტემის მეექვსე

სამეულის სრული ცვლილება მოხდა: ფონეტიკური პროცესების შედეგად მომხდარი ცვლილებები და ლინგვისტური კომპენსაციები. ფონოლოგიური ინვენტარის ანალიზი როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ჭრილში.

15. სასწავლო კურსის დასახელება: ლინგვისტური სემიოტიკა /

სასწავლო კურსის მიზნები: ლინგვისტური სემიოტიკის კურსი მიზნად ისახავს ჰუმანიტარული ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების განყოფილების მაგისტრანტებს შეასწავლოს სემიოტიკის წარმოქმნისა და განვითარების ისტორია, ენათმეცნიერების როლი სემიოტიკური პრობლემების კვლევის სფეროში. ლექციათა კურსი ორიენტირებულია სემიოზისის, როგორც პროცესის, მისი შემადგენელი ნაწილების ფუნქციონირების მექანიზმის ახსნისა და სხვადასხვა თვალსაზრისით შეფასებაზე ისტორიულად და დღეს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ლინგვისტური სემიოტიკის გავლენის სწავლებას ადამიანის ვერბალური და არავერბალური შემოქმედების შემსწავლელ მეცნიერებებზე და კვლევის სემიოტიკური მეთოდების კულტივირებაზე ენათმეცნიერებიდან სხვა ჰუმანიტარულ დარგებში.

16. სასწავლო კურსის დასახელება: ენათა კონტაქტები /

სასწავლო კურსის მიზნები: ენათა კონტაქტების კურსი მიზნად ისახავს ჰუმანიტარული ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების განყოფილების მაგისტრანტებს მისცეს ცოდნა ენობრივი სოციუმების ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების როგორც ენათა ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ სისტემათა განმაპირობებელი ფაქტორის შესახებ; შეასწავლოს სტუდენტებს ენათა კონტაქტების როლი ისოტირულ-შედარებითი თვალსაზრისით ენების კვლევის პროცესში; ადსტრატული და სუპერსტრატული ენების ჩამოყალიბება და მათი გამოვლენა კონკრეტული ენის დიაქრონული თვალსაზრისით შესწავლისას. მაგისტრანტი ამ კურსის ფარგლებში აგრეთვე შეისწავლის ენათა კავშირებს და თანამედროვე ენათა კონტაქტებს მზარდი გლობალიზაციის ფონზე; ქართულ და ქართველურ ენებთან ისტორიულად და დღეს კონტაქტში მყოფი ენებსა და მათი გავლენის შედეგებს.